

ნესტან სულავა



საუკუნიდან საქართველოს სამეფო ტახტს ფელობს ღვთისაგან ცხებულ ბაგრატიონთა იესიან-დავითან-სოლომონიანი ქართული სამეფო საგვარეულო, რომლის წარმომადგენლები არა მხოლოდ პოლიტიკური მოღვაწეობით იყვნენ ცნობილინი, არამედ, ღვთისაგან მიმადლებული შემოქმედებითი ნიჭითაც დაჯილდოებულნი, არაერთი ბრწყინვალე ლიტერატურული ნაწარმოების ავტორებიც არიან. მეფის ბიბლიური იდეალი ვულისხმობს ყოველმხრივ შემკულ, ჰარმონიულად განვითარებულ პიროვნებას. ბიბლიიდან იმზარებიან ღვთის მიერ ცხებულ შემოქმედ მეფეთა ბრწყინვალე სახეები: დავით წინასწარმეტყველი, სოლომონი და სხვანი. ქართველ ბაგრატიონთა წარმომადგენლები მათ სახეებში მავალით ხელდავინ და მათ წარმოსახვაში საკუთარი თავის წარდგენაც სურდათ, ვითარცა სწორუპოვარი ხელმწიფისა და მხატვრული სიტყვის ოსტატისა. ბიბლიური მეფე განსაკუთრებული პიროვნული ღირსებებით გამოირჩეოდა და იგი ქართველ ქრისტიან მეფეთა წინასახედაა მოსაზრებელი. ბაგრატიონთა ათასწლოვანი მეფობის მანძილზე ამ საგვარეულოდან მრავალი შესანიშნავი შემოქმედი წარმოიხნდა, რომელთა ჟანრობრივად მრავალფეროვანი ლიტერატურული მოღვაწეობის გარეშე წარმოუდგენელია მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის განვითარება.

* * *

ჩვენამდე მოღწეული ცნობების მიხედვით, ბაგრატიონთა საგვარეულოდან გამოსულ მწერალთაგან პირველია XI საუკუნის I ნახევრის ათონის მთის ქართველთა მონასტერში მოღვაწე ბასილი მთაწმიდელი, ბაგრატის ძე, რომელმაც ქართველ მწერალთა ჰელად დაამშენა თავისი საგლობლებითა და ეფთვიმე ათონელის სენაქსარული „ცხოვრებით“. იგი ივირონის მკვიდრ წმიდა მამათა ღირსეული წარმომადგენელია, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა განჯგრიტა ეფთვიმე მთაწმიდელის როლი და მისი მოღვაწეობის მნიშვნელობა, ერთი მხრივ, ათონის ქართველთა მონასტრისათვის და მის სამახსოვროდ შექმნა თავისი თხზულებები, მეორე მხრივ, ზოგადად ქართული კულტურისათვის.

ბასილი ბაგრატის ძის სენაქსარული ცხოვრება უაღრესად მნიშვნელოვანი თხზულებაა ეფთვიმეს ღვაწლისა და დამახსოვრების წარმოსაჩენად ქართული კულტურის ისტორიაში. მან ჩამოაყალიბა ის ფაქტები, თუ რას და როგორ ემსახურებოდნენ ეფთვიმეს სიცოცხლეში შედგენილი „სამახსოვრო წიგნები“. აქედან გამომდინარე, სენაქსარული „ცხოვრება“ მიხნად ისახავდა იოვანესა და ეფთვიმეს მრავალმხრივი მოღვაწეობის შეჯამებასა და შეფასებას, მათი პიროვნული თვისებების წარმოჩენას. სენაქსარული „ცხოვრება“, ამ ჟანრისათვის დამახასიათებელი ინფორმაციული მასალით დატვირთული, ლაკონიური სტილითაა დაწერილი, იგი მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის არა მხოლოდ იოვანესა და ეფთვიმეს მოღვაწეობის შესახებ, არამედ გვაცნობს ბიზანტიის იმპერიაში მიმდინარე პოლიტიკურ და იდეოლოგიურ პროცესებს. მასში დაკულია მეტად საეულისხმო ცნობა იმის შესახებ, რომ ეფთვიმე თარგმნიდა არა მხოლოდ ბერძნულიდან ქართულად, არამედ ქართულიდან ბერძნულადაც „ვიდრე სიყუდილოამდე“ [8,137], რითაც სენაქსარული „ცხოვრების“ ავტორს სიახლე შემოაქვს ტრადიციულ თვალსაზრისთან შეპირისპირების ფორმით. სამეცნიერო ლიტერატურაში პირველწარბობზე დაყრდნობით გარკვეულია, რომ იოვანეს მიერ შედგენილ ეფთვიმეს თარგმანთა ნუსხაში, რომელიც 1002 წლამდეა შესრულებული, არ ვგვხვდება ზემოხსენებული ცნობა, რაც ე. მეტრეველს ავარაუდებინებს, რომ ეფთვიმეს ქართულიდან ბერძნულად თარგმან მამის, იოანეს გარდაცვალების შემდეგ უნდა დაეწყო [8,138].

„მე ვარ, ვითარცა უფესურელი, შესაყრებელი ბილწებისა ლუართაჲ“. ყურადღებას იქცევს ჩადენილ შეკრძობებთან შეგნების ვასაიკარი უხარი და მაღალი ეთიკური მრწამსი, რაც არა მხოლოდ დავით აღმაშენებლის საგალობელში გამოსჭვივის, არამედ უდიდეს ბიზანტიელ ჰიმნოგრაფთა მიმკვიდრეობას გასდევს ლაიტმოტივად [3,57-58]. ა. გუგუჩიას სიტყვით, „გალობანი“ ღრმად განსწავლული და სულიერად უაღრესად რთული ქრისტიანის აღსარებაა, აღსაესე თეოლოგიური დეფინიციებით, ისტორიული ანალოგიებითა და ისეთი პიროვნული შედარებებით (მაგალითად, სოლომონ ბრძენთან ან სხვა ბიბლიურ მეფეებთან), რომლის უფლება მხოლოდ და მხოლოდ მას ჰქონდა... „გალობანი“ უღრმესი სულიერი სიმბიოლის, საკუთარი თავის გამოტირილის და გაუგონარი თვითგვემის ვადმოცემა“ [2,81].

დავით აღმაშენებლის საგალობლის მაღალ პოეტურ დონეს ქმნის ის სტრუქტურა, რომლითაც ატყობიან როგორც მთლიანი ნაწარმოები, ისე მისი ცალკეული გალობები. როგორც გალობებია ერთმანეთთან მკვიდრად დაკავშირებული, ისე თითოეული გალობის ყოველი ტროპარის აზრი მეორეზეა დამოკიდებული. საგალობელში რიტმის, აზრისა და ვანცდის დინამიურბა გლინდება პირველიდან მეცხრე გალობამდე, სამეტყველო ენა კი ბიბლიურ-ეგზეგელოური და ჰიმნოგრაფიულია. ყოველ გალობას აქვს ძლიანი, თემის, ტონალობის, გუნწყობის ორიენტირი, რომლის მიხედვით განისაზღვრება თითოეული გალობის მუსიკა და მთავარი აზრი. ამგვარად იქმნება ერთიანობაში საგალობელი, მუსიკალური ბგერისა და სიტყვის, მგლისისა და ლოგოსის სინთეზი, რომელიც ჰიმნოგრაფის მიზანსწრაფვას, აზრს, ფიქრს, გუნწყობას, ვანცდას წარმოაჩენს მასში აღძრულ ძირითად პრობლემებზე.

საგალობელს გასდევს თავმდაბლობის, სულის ხსნისა და ნათლის ხილვის მოტივები. დავით აღმაშენებელმა პირველ გალობაში ღმერთისადმი მიმართვისას საკუთარი თავი ქედადარევილად წარმოაჩინა: „რომლისაჲცა წინაშე ქედ-დადრეკილ არს ყოველი, მუჯლი ყოველი მოდრეკების“... მერვე გალობაში მუხლმოდრეკილი მეფე სულის ხსნას ევედრება მონანულთა ღმერთს; მეცხრე გალობაში კი მეფე-პოეტი კვლავ ქედადარევილი უნდა წარსდგეს ღვთის სამსჯავროზე, სადაც მსაჯული ჭეშმარიტად განსჯის, რის შემდეგაც მართლნი ინეტარებენ, ცოდვილნი ცეცხლში აღმოჩნდებიან. მეფის თავმდაბლობა, სიწმინდე, სიღიადე, სულის სიმაღლე და ზნეობრივი სახე გამჟღავნდა საგალობელში ერთი სიტყვის - „ქედ-დადრეკილის“ ასე მოხდენილად გამოყენებით, სახისმეტყველებითი ფუნქციის წარმოჩენით. ამ ერთმა სიტყვამ შეკრა მთელი ნაწარმოები და მისი ძირითადი აზრიც აჩვენა. აგრეთვე, საგალობელი ნათლისა და შინაგანი ხილვის სიმბოლოებითაა დატვირთული და იგი მთავრდება მსასობელი ვედრებით, საიდანაც ცხადად გამოსჭვივის მონანიე პიროვნების იმედანი მზერა ნათლის სამყაროსაკენ, მზის საუფლოსაკენ, რომლისცხვაც მიისწრაფოდა ჰიმნოგრაფი მთელი თხზულების მანძილზე. უდიდესი ღვთისმეტყველი წმიდა მამები თავიანთ თხზულებებში განმარტავდნენ სინანულის არსს და იგი მაინდათ უმაღლესი ნათლის ხილვის უმთავრეს საშუალებად. სინანულის გრძობის გაჩენა ადამიანში პიროვნების სულიერი, თვისებრივი გარდასახვის, ზნეობრივი ამაღლების შედეგა, რის შემდეგაც იგი აღწევს პირველსახის დაბრუნებას, „ღვთაებრივი“ „მე“-ს წვდომას და იკვიდრებს სასულიერეებს. დავით აღმაშენებლის საგალობლის ორიენტირი მაცხოვარი და ღვთისმშობელია, რომელთა მეოხებით რთული და ტკივილბანი გზით მიდის ჰიმნოგრაფი სულის განწმენისაკენ.

დავით აღმაშენებლის თხზულებებში ჩამოთვლილი ცოდვები ადამიანური ბუნებიდან მომდინარეობს და მეტ-ნაკლებად ყველა ადამიანს ახასიათებს. მნიშვნელობა იმას ენიჭება, ვინ როგორ ვანცდის თავის ცოდვას, ვინ როგორ აფასებს საკუთარ თვისებებს, ვინ რა მოთხოვნებს უყენებს საკუთარ თავს, რაც მის ზნეობრივ სახეს განსაზღვრავს. მეფე-პოეტმა თავისი საგალობლით ადამიანის ზნეობრივი იდეალი

შექმნა. ერთი მხრივ, ადამიანის დადებითი, მისაბაძი და, მეორე მხრივ, მისი უარყოფითი თვისებების წარმოჩენით თავისი ეპოქის (არა მხოლოდ თავისი ეპოქის!) იდეალი დასახა - როგორი უნდა იყოს იგი და როგორი არ უნდა იყოს. სწორედ ესაა დავით აღმაშენებლის საგალობლის უმთავრესი მიზანიცა და ღირსებაც. ავტორის პოეტური აზროვნება, ინდივიდუალური ხელწერა იმით მკლავდება, რა ინტონაცია შეიტანა და რა დატვირთვა მიანიჭა თითოეულმა სიმბოლომ თუ მხატვრულმა სახემ საგალობელს.

დავით აღმაშენებლის საგალობელმა გავლენა მოახდინა მომდევნო ხანის პიროვნებებზე სახისმეტყველებითი თვალსაზრისით, მასში გამოვლენილი იდეები და მოტივები, სამეტყველო ენა და მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები აირეკლა თამარისა და რუსუდანის ეპოქაში შექმნილ საგალობლებში ისევე, როგორც თვით „გალობანი სინანულისანი“ არის მექვიდრე მდიდარი პიროვნული ტრადიციებისა. თხზულების აზრობრივ სიღრმეს, ზნეობრივ სიმაღლეს განსაზღვრავს დახვეწილი ლიტერატურული სიფაქიზე, ამაღლებული სტილი, ხატების, სახეთა და სიმბოლოთა მწყობრი სისტემა, სრულყოფილი კომპოზიცია და სტრუქტურა, რაც განაპირობებს ამაღლებულის შერბილებისა და ესთეტიკური გაცდის მყარ საფუძველს.

* * *

მამისეული ტრადიცია გააგრძელა დავით აღმაშენებლის მექვიდრემ - დემეტრე მეფემ, რომლის ხუთი იამბიკო ჩვენამდე მოღწეულია: სამი ღვთისმშობლისა და ორი შიო მღვიმელისადმი მიძღვნილი. ისინი სიმბოლური აზროვნების საუკეთესო ნიმუშებად უნდა მივიჩნიოთ.

დემეტრე მეფის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი იამბიკო ასე იწყება: „შენ ხარ ვენახი, ახლად აღყვავებული“. საგალობელი ღვთისმშობელს მიემართება, ყოვლადღმირა ღვთისმშობელია „ახლად აღყვავებული“ ვენახი. ქრისტიანულ მწერლობაში „ვენახი“ არის ქრისტესა და ღვთისმშობლის სიმბოლო. დემეტრე მეფის იამბიკოში რომ ვენახი ღვთისმშობლის სიმბოლოა და არა ქრისტესი, ამის საბუთად მხოლოდ იმის დასახელებაც იკმარება, რომ იამბიკო XVII-XVIII საუკუნეებში შედგენილ სხვადასხვა რედაქციის საღვთსწავლოებშია შეტანილი „აწდას“ ტროპარად, ანუ ღვთისმშობლისანად. ხსენებულ კონტექსტში ღვთისმშობელია „ახლად აღყვავებული“ ვენახი, რომლის მტევანია ქრისტე, კაცობრიობის მხსნელად მოვლინებული ქალწული დედისაგან. „ახლად აღყვავებული“ კი სულიერი განახლება, ახალი სულითა და ხორციით შემოსება, ახალი მცნების მიღებებაა. ღვთისმშობელმა თავისი სიწმინდე დაუპირისპირა ევას ცოდვას, ისევე როგორც ქრისტეს განკაცებამ საფუძველი დაუდო „ახალი კაცის“ შემოსებას“ და „ძველი კაცისაგან განმარცხას“, ე. ი. კაცობრიობის სულიერ განახლებას. ეს სიმბოლური განხრება გრძელდება მომდევნო ტაქაში - „მორჩი კეთილი, ედემს შინა ნერგული“, რომელშიც „მორჩი“ „ვენახის“ რიგის სიმბოლოა, რომელიც ქრისტესაც მიემართება და ღვთისმშობელსაც. რ. სირაძემ ტაქაზე დაყრდნობით ღვთისმშობელი გენეალოგიურად დავით წინასწარმეტყველის შორჩად, ყლორტად მიიჩნია [9,98-99], რასაც საღვთისმეტყველო ლიტერატურის მონაცემები ადასტურებს. ზოგან გენეალოგია იუდაძვე მიდის. ეს თვალსაზრისი განსაუთრებული მნიშვნელობისაა იმიტომ, რომ იგი აღუზიურ მხატვრულ ფუნქციას იძენს, ვინაიდან საქართველო ყოვლადღმირა ღვთისმშობლის წილხვედრილი ქვეყანაა და საქართველოს განაგებს იესიან-დავითიან-სოლომონიანი ბაგრატიონთა საგვარეულო.

იამბიკოს მომდევნო ტაქაში კიდევ ერთხელაა აღნიშნული, რომ ღვთისმშობელი სამოთხიდან ამოზრდილი ალვა სულნელია. „ედემს შინა ნერგული“, „სამოთხით ამოსრული“, სულნელი ალვა გულისხმობს უცოდველ ბუნებას ღვთისმშობლისა, რომელმაც გამოისყიდა პირველყოფილი.

აღვა, საუკეთესო ადგილზე დარგული და ზეგარდმო განსაკუთრებული ზრუნვით ნაზარდი ნერვი, მეტათეორულადაა ვასაზრებელი. კაცობრიობის არსებობის მანძილზე, იველისხმება ადამისა და ევას სამოთხიდან გამოდევნის დროიდან ქრისტეს მოვლინებამდე, ხორციელდება ედემს მოშორებული ედემის ნერვის თავის ბუნებრივ სამყოფელში დაბრუნების ურთულესი პროცესი. ადამი და ევა ედემს, ზეციურ სამყოფელს მოაკლდნენ, ლეთისმშობელი კი ედემს შინა დაინერგა, სამოთხეს აღმოსრულია, აღვა სულნოია, რომელიც ღმერთმა შეამო და რომელსაც ვერავინ სჯობს ქებული. იგი არის „მზე განბრწყინებული“, რაც ლეთისმშობლის ნათელმოსილების გამოხატულებაა.

ღმეტრე მეფის მერე იამბიყო, ყოვლადწმიდა ლეთისმშობლისადმი მიძღვნილი, ხარების ამაღლებულ სურათს წარმოაჩენს, რომელიც მასში ფრესკათა და ხატების დარად საოცარი ამაღლებულობითა და სიწმინდით იხატება, გაბრიელ მთავარანგელოზი ამცნობს დედათა შორის გამოჩრჩეულს ლეთის განგებას - მის მოძველ ლეთისმშობლობას.

იამბიოში ლეთისმშობლის გამოჩრჩეულობა, მისი ერთადერთობა გამოხატულია მარადქალწულობისა და დედობის შეხამებით, რაც პირველყოფისაგან განთავისუფლებისა და სულიერი განახლების სიმბოლოდ წარმოისახება. ლეთისმშობლის სიმბოლოდ „შეინიერი შრომანის“ გამოყენებით იამბიო ეხმანება „შენ ხარ ვენახის“ „ედემს შინა ნერვულ“ კეთილ მორჩსა და სამოთხეს აღმოსრულ სუნელს. აქ ავტორის კანონიურ თვალთახედვას ეხამება მისი ესთეტიკაში, შრომანის „შეინიერად“ აღქმა და ვაზრება. მშეინიერი შრომანის სიმბოლიკა ლეთისმშობლის ქალურ სისატეტაკეს მიუთითებს, რითაც იგი დაუბირისპირდა ევას. სწორედ ქალწულ მარამს, „შეინიერ შრომანს“ ახარა გაბრიელ მთავარანგელოზმა, რომ ის იქნებოდა ლეთისმშობელი, დედა ქალწული, ხოლო დიალოგით ხარების მისტაყურობა და მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს განსაზღვრული.

ლეთისმშობლისადმი მიძღვნილ იამბიოთა ციკლს განასრულებს ჩვენს მიერ ახლახან მიკვლეული იამბიო, რომელიც ავტორის სახელს ვეამცნობს. იგი შეიცავს ვედრებას, თხოვნას ლეთისმშობლის წინაშე, ვითარცა დედოფლის წინაშე, რომ მისი „ენიხი ღუაწლი“ შეიწიროს და მავედრებელი პიშტორაფი ღირსი ვახადოს ძე ღმერთის დიდების სულიერ სიმდიდრესთან ზიარებისა. იამბიო ამთავრებს ლეთისმშობლის თემაზე ნათეჟრ-ნაზრევის მხატვრულ ვარდათქმას. სამივე იამბიო თემატურ-აზრობრივად არის ერთმანეთთან დაკავშირებული. იამბიოებში „შენ ხარ ვენახი“ და „ლეთისმშობელი და ყოვლად პატრიანხა“ ლეთისმშობლის გამოჩრჩეულობის მიმანიშნებელი რამდენიმე სიმბოლოური სახეა მოხმობილი, მაგრამ არ გვხვდება „დედოფალი“, ესოდენ მნიშვნელოვანი სახისმეტყველებით დატვირთული სახელი ლეთისმშობლისა, რომლის სრულყოფილი სახის წარმოსაჩენად აუცილებელი იყო მისი დედოფლად მოხსენიება, რაც, ფაქტობრივად, მესამე იამბიოში განხორციელდა.

შიო მღვიმელისადმი მიძღვნილი ღმეტრე მეფის იამბიო „შენის დაფენისა“ ჰავიოგრაფიულ მონათხრობს და ბიბლიურ პარადიგმებს ეყრდნობა. იგი სიმბოლოებით აზროვნების ბრწყინვალე ნიმუშია. პირველი ტაეი - „შენის დაფენისა ამიოებს ასურსა“ - შიოს, ასურეთიდან მოსულს, წარმოაჩენს მისაბამ, საწმინდო პიროვნებად, რომელიც დაფენითა შექეული. შიომ მღვიმე „სამყაროდ“ აქცია და უდაბნოს მრავალი წული დაუხსნა, სული განადმრთო და სხეული („მტეერი“) მიწას შეუერთა. მღვიმე, გამოქვაბული ადამიანის სულიერი გამოქცდის ადგილია. მღვიმიდან, გამოქვაბულიდან, უდაბნოდან გამოსვლა მხოლოდ გენდმრთობილ ადამიანს ძალეუს; ადამიანის უპირველესი მიზანი ღმერთთან ზიარებაა, რისთვისაც წმინდანები განსხვავებულ გზას ირჩევენ. შიომ საუკეთესო გზად სულიერი სიდადის მოსაპოვებლად და ხორციელ გზათა აღსაყვთად ასეეტობა, მღვიმეში განმატრეობით ყოფნა ირჩია, რათა წმინდანობის გზაზე მოარულს ღმერთმა შეაძლებინოს შინაგან ჭიდილში გამარჯვება. მან

მცხეთის სიახლოვეს ჰბოვა მცირე ქვაბი, სადაც დამკვიდრდა, ხოლო სიცოცხლის ბოლო წლები ბნელი მღვიმეში გაატარა, რომელიც დემეტრე მეფემ სამყაროს შეადარა. მღვიმე იმდენად გავართოვდა, რომ იგი მთელ სამყაროდ იქცა. აქ „სამყარო“ ბიბლიური ცაა, ღვთაებრივი ცაა, ზესთა სამყაროა, რომლის წიაღში შეღწევა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. შიოს ყოფნა მღვიმეში სულით განახლავს დაეგებად აღიქმება, რაც დემეტრე მეფის იამბიკოში გამოიხატა ფსალმუნური მოტივით: „ორბობს მოხუცი“. მისი ლიტერატურული წყარო ფსალმუნია: „რომელმან ადავსო კეთილთა მიერ გულისთქუმად შენი; განახლდეს ორბისა, სიჭაბუკე შენი“ (ფს. 102,5). „ორბობს მოხუცი“ ადამიანის სულიერი განახლების ფსალმუნურ მოტივს ასახავს, რაც ცოდვის სამოსლისაგან განმარტავს გულისხმობს.

შიოს ღვაწლი მთელ ბერწ უღაბნოს სწვდება: „იბერწისწულებს მრავლად უღაბნოს ესე“, რაც ღრმა სიმბოლური აზრს წარმოსახავს. შიომ ბერწ უღაბნოს მრავალი წული დაუსხა, სამონაზვნო კრებული გააბრალა, შიოს კვალზე შემდგარი წმიდა მამები თავიანთ თავში „ძველ კაცს“ კლავენ და ახალი, ნათელი სამოსლით იმოსებიან. ისინი აბას დღევანდელ ქრისტიანული ასკეტობით, როდესაც საკუთარ თავში ხორციელ ვნებებს აღკვეთენ. ასკეტური მოღვაწეობის მიზანი არის ადამიანის სულიერი განდმრთობა, მოკვდავი ბუნების უკვდავთან დაახლოება. იგი მისაწვდომია, ოღონდ ღვთის რჩეულთათვის, იმათთვის, ვისაც ძალოქს ცოდვით დამტრობილი ღვთის მსგავსი ხატის აღდგენა ცოდვათა დათრგუნვითა და პიროვნების სულიერი განწმენდით, რაც მიიღწევა მხოლოდ და მხოლოდ მონანიებით, საკუთარ ცოდვათა აღიარებით, კაცობრიობის ცოდვათა ტვირთვით. ადამიანის სულიერი ფერისცვალების, სულიერი განახლების შესაძლებლობა კოდირებულია „ახალი ადამიანის“, „განავტებული ძე ღვთისას“ მოსვლით: „შევიმოსოთ ახალი იგი კაცი, ღვთისა მიერ დაბადებული“ (ეფ. 3,10). წმიდა შიოს ქართლს დამკვიდრებამ დაფინის მოპოვების შესაძლებლობა, პერსპექტივა დაუსახა წმიდა მამებს. შიომ ქართლი აავსო თავისი მოძღვრებებით. ამიტომ ფრანზა - „ისავსებს ქართლი ნილოფსა ნაყადულთებრ“ ღრმა სიმბოლურიობითა დატვირთული, რომელიც იმადროოულად აღუგორიულიცაა.

მღვიმე, რომელშიც შიო დამკვიდრდა, ის ადგილია, საიდანაც მისი განდმრთობა უნდა მოხდეს. შიომ თავისი ადამიანური მოთხოვნები გონებას დაუქვემდებარა, ღვთის ნებას დაპორონილდა, გონებით მისწვდა ღმერთს, რის შემდეგაც მასზე ღვთაებრივი ძაღლის გადმოსვლით შიოს სული განიღმრთო: სული ღმერთს შესწირა, სული ღმერთს მიეახლა, ხოლო ხორცი მტერად ექცა. ასე საკრალურად ხორციელდება შემოქმედი ღმერთის ნება, რომ ადამიანის სული უბრუნდება ღმერთს, ხოლო ხორცი მიერთვის მისას: „მტუერსა მტუერისა დამტუე“. დემეტრე მეფის იამბიკო შიო მღვიმელის მაგალითზე სახავს ადამიანის განდმრთობის, ანუ თეოზისის პერსპექტივას, ყოველი შექმნილი მისწრაფვის შემოქმედისაყენ. ეს კი საბოლოოდ რეალიზდება სულისა და სხეულის განშორებით, ე. ი. იმის დამლით, რაც შეიქმნა ჰარმონიული არსებობისათვის, ოღონდ დამლას ახალი ჰარმონია მოაქვს, ადამიანის სული უნდა განაღმრთოს, დემეტრე მეფის სიტყვით, „სულსა აღმრთისებს“. დემეტრე მეფე იამბიკოში შიოს სულიერი განდმრთობის პროცესს წარმოსახავს ჰიმნოგრაფიისათვის დამახასიათებელი დახვეწილი და ნატიფი მხატვრული ფორმებით, ბიბლიურ სიმბოლოთა ორიგინალურად მოხმობით.

შიო მღვიმელისადმი მიძღვნილი მეორე იამბიკო შიოს სასწაულთმოქმედებას მიგვანიშნებს, რაც გამოხატულია „მუშოსა ზედა ჯღომით“, „მინდორს ქურციკთა“ ღვინით, ადამიანის ცაზე ბეწვით ჩამოკიდებითა და ცხენით ზღვის მორბევით. იამბიკოში ერთდროულად მკლავდება ლიტერატურული ტრადიციები და ხალხური მსოფლმეგრძობა.

თუ დემეტრე მეფის იამბიკოს პირველ ტაქებს ჩაუკვირდებით, შევინშნავთ, რომ მასში ცას თეოლოგიური დატვირთვა აქვს, რადგან ჩანს ადამიანის მიმართება ზეკასთან, ღვთის სამყაროსთან,

სასუფეველთან. პირველი ტაეპის აზრს, რომელიც მომდევნოშიც გრძელდება, მეხუთე ტაეპში გამოთქმული ვედრება განასრულებს: „და ესრეთ ღაღადებდა: ღმერთო, შენ კურთხეულ ხარ“. შეიძლება ითქვას, რომ იამბიკოს საწყისი და ბოლო ტაეპები ერთიან აზრს გამოხატავს და იამბიკოს სიმეტრიული სტრუქტურის მქონე თხზულებად აქცევს.

იამბიკო სამყაროში მიმდინარე მოვლენებს, მის კანონზომიერებებს შებრუნებულად წარმოსახავს, რამაც სხვადასხვა დროს თავი იჩინა როგორც ქართულ, ისე უცხოურ ლიტერატურასა და ფოლკლორში.

უმეტრტო ეკო საგანგებოდ განიხილავს ენიგმატური ხელოვნების ნიმუშებს, რომლებშიც ღმერთის მიერ შექმნილი სამყარო უკუღმა ასახული, იგი თავდაყირაა ამოტრიალებული, სინამდვილის დამახინჯებული სახეა ნაჩვენები, სადაც გვევლებიან პიბრიდული არსებანი, უხელო ადამიანები, ირმისრქებიანი მიიმუნები, ფრინველთა ფრთიანი თევზები, თევზის ბოლოიანი ფრინველები, ორთავიანი ქიშკრები; საილოები, კენტარები, დრაკონები ხეთა რტოებზე დადიან; გლეხურ მეურნეობაში, კერძოდ, კალოზე მეურნეობა ცხოველები არიან.

ენიგმატური ხერხი ჭეშმარიტების შეცნობის ერთ-ერთი მხატვრული საშუალებაა, რომლის თეორიული განზოგადება ჯერ კიდევ არისტოტელეს შრომებში („პოეტიკა“, „რიტორიკა“) გვევლება. არისტოტელე საუბრობს ხუძრობაზე, სიტყვათა თამაშზე, მეტაფორებზე, ვინებამახვილოურ გამოკანცხლებზე, რომლებიც სტატიკულ ფილოსოფიას ჭეშმარიტების წვდომისათვის აუცილებლობად მიაჩნია. ენიგმატიკის ყოველი ნიმუში აღიქმება ჭეშმარიტების ჩვეულებრივი გზიდან გადახვევად. იგი ჭეშმარიტების სხვა სახეა. ეს არის ჭეშმარიტების წარმოჩენის საშუალება არაჩვეულებრივი, ვინებამახვილოური, გასაიდუმლოებული სახეებით. მათი დანიშნულება არის როგორც შემეცნებითი, ისე სასწავლო-სამოდერო, სადაც ცხოველთა სახით ადამიანის სამყაროა ნაჩვენები. პიბრიდაფები, ღვთისმეტყველი წმიდა მამები მას „სარკითა და სახითა ჭვრობად“ მიიჩნევენ, ვითარცა შემეცნების ერთ-ერთ სიმბოლოს.

ღმეტრე მეფის „ცასა ბეწვათა ეკიდა“ არის ანტითეზისის მხატვრულ-სტილისტიკური ხერხით აგებული იამბიკო, რომელშიც სასწავლებრივი წარმოსახვა უდიდეს ადგილს იჭერს.

დაისმის კითხვა, რატომაა მანისცდამინც შიო მღვიმელისადმი მიძღვნილ იამბიკოში ზღაპრულ-ფანტასტიკური ელემენტები შემოტანილი? არ შეიძლება იგი შეთხვევითი იყოს. ჩანს, სამისო საუფუველს თვით შიოს მოღვაწეობა იძლეოდა. კერძოდ, გასათვალისწინებელია შიოს მიერ ცხოველთა მოთვინიერება და დამორჩილება. უდაბნოსა და გამოქვაბულებში მცხოვრები ასევე ბერები ცხოველებზე ახლენდნენ გავლენას ღვთის მესვერებით და მათ ადამიანის სამსახურში აყენებდნენ. ასურელ მამთა „ცხოვრებაში“ ეს მოტივი ძალზე პოპულარულია. „შიო მღვიმელის ცხოვრებაში“ ყურადღებას იქცევს მგლის დამორჩილების ეპიზოდი. ამდენად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ღმეტრე მეფის იამბიკო „ცასა ბეწვათ“ საღვთისმეტყველო ლიტერატურასა და ფოლკლორში დამვიდრებულ ტრადიციებს ეფუძნება. ღმეტრე მეფის იამბიკო იმითაცაა მიმზიდველი და მომხიბლავი, რომ მასში პიბრიდაფიისათვის დამახასიათებელი სხარტი, მაღალფარდოვანი, მეტყველი სტილით აისახა შიოს სასწავლო-მეცნიერებადანი, დაკავშირებული ცხოველთა მოთვინიერება-დამორჩილებასთან ღმერთის შეწვევითა და ნებით. ღმეტრე მეფის შიო მღვიმელისადმი მიძღვნილი ორი იამბიკო ქების ობიექტს, შიო მღვიმელს წარმოაჩენს აბოფატიკური და კატაფატიკური მეთოდებით, რომლებიც საღვთო სახელების განსამარტებლად გამოიყენება ღვთისმეტყველებაში.

ამრიგად, ღმეტრე მეფის იამბიკოები დახვეწილი სტილის, ფაქიზი ლიტერატურული გემოვნებისა და მაღალი მხატვრული დონის ორიგინალური პოეტური ნაწარმოებებია, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს კლასიკური ხანის მხატვრული აზროვნების განვითარებაში. ღმეტრე მეფის ყოველი იამბიკო

ქართული კლასიკური საგალობლის საუკეთესო ნიმუშია, რომლებშიც ავტორის ღრმა განათლებასთან ერთად ნათლად წარმოჩნდა მისი პოეტური შესაძლებლობები.

* * *

თამარ მეფის ერთ-ერთ ისტორიაში - „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ - ჩართულია „ამბიკო ხუთეული ოცდახუთ ლექსად“ [12,74-75], რომელიც, თხზულების ანონიმი ავტორის თქმით, თამარ მეფეს ეკუთვნის. იგი ცნობილია პირველი სიტყვების მიხედვით შერქმეული სახელწოდებით „ცასა ცათასა“, რის ტრადიციაც ბიბლიური წიგნებიდან მომდინარეობს. მეორე ამბიკო „ქალწულებრივთა“ რამდენიმე გვიანდელი, კერძოდ XVIII-XIX სს. ხელნაწერთაა შემონახული.

ამბიკოების ავტორად მეცნიერთა ნაწილს (პ. ინგოროყვა, კ. კვეციანი, ს. ყაუხჩიშვილი, ი. ლოლაშვილი, რ. შერტვეელი, დ. მენაბდე) თამარ მეფე მიაჩნია, ნაწილი ფრთხილობს და საკითხის საბოლოო ვარკვევას მომავალ კვლევა-ძიებას ანდობს.

ჩვენი აზრით, „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში ჩართული ამბიკო „ცასა ცათასა“ და რამდენიმე ხელნაწერში შემონახული „ქალწულებრივთა“ თამარ მეფეს ეკუთვნის [10,80-147].

თამარ მეფის ამბიკოს „ცასა ცათასა“ საფუძვლად უდევს ჰიმნოგრაფიული ტრადიცია. მასში საუბარია ქრისტიანული ღვთისმეტყველების ძირითად პრობლემებზე: სამება-ერთარსებაზე, სამყაროს შექმნაზე, ზეცისა დასზე, ქრისტეს შობაზე ქალწულისაგან, ქრისტეს ვნებით პირველცოდვის დახსნაზე, აგრეთვე, საგალობელში აისახა ისტორიული მოვლენებიც და თამარის ეპოქისათვის დამახასიათებელი ძირითადი იდეოლოგიური მიმართულებაც - ანტიმამაღიანური ტენდენციაც გამოიხატა, რაც საერთო მახასიათებელ ნიშნად გასდევს ყოველ ღრმს. საგალობელი არის სამეფო იდეოლოგიისა და მესიანისტური მსოფლმხედველობის გამოხატველი, რაც უმნიშვნელოვანეს მოვლენად მიგვაჩნია იმ ეპოქის თხზულებების განხილვისას.

ამბიკოს ორი შხარე აქვს: ერთია კონკრეტული და მასთან დაკავშირებული ესთეტიკური ღირებულება, მეორეა უმთავრესი და უძალდესი - მისტეკური შინაარსი. საგალობელი შამქორის ომში გამარჯვების შემდეგაა დაწერილი და მეფე-პოეტი ღმერთსა და ღვთისმშობელს ემადლიერება დახმარებისათვის, მომავალშიც შესთხოვს მათ შემწობას, რათა მამაღიანები - „ავარის ნათესავნი“ განდევნოს, როგორც ამ ომში მოწყალა ისინი დაავით სოსლანმა. თამარის ამბიკოს მიზანი ღმერთის მარადიულობის გამოხატვაა, რომელიც სუფევს „ცასა ცათასა“, ხოლო ამ უკანასკნელს სიმბოლური გააზრება აქვს და იგი ღვთისმშობლის აღმნიშვნელია.

თამარის ამბიკოს პირველი სტროფის მიხედვით, ერთარსება სამება, რომლის ჰიპოსტაზებია მამა-ღმერთი, ძე ღმერთი და სული წმიდა, შექმნა არაფრისაგან ყოველივე, რაც დასრულდა მიწით პირველი, პირველი კაცის მოვლინებით. ღმერთი - სამებით სრული და ერთი ღმერთება მკვიდრობს ცასა ცათასა, რომელიც ღვთისმშობელს აღნიშნავს, რომლის წიაღშიც ვახხორციელდა, გვყავს იესო ქრისტე, ძე ღმერთი, მაცხოვარი აღამიანთა ცოდვების გამოსასყიდად. ეს სტროფი არეკლავს ქრისტიანულ საღვთისმეტყველო ლიტურატურაში გამოთქმულ შეხედულებას შესაქმნის პროცესის შესახებ. თამარის ამბიკოს ამ სტროფს მრავალი პარალელი ეძებნება როგორც წინაზე ლიტურატურულ ტრადიციებში, ისე მის თანამედროვე მწერლობაში. ასეც იყო მოსალოდნელი, რადგან ქრისტიანული მსოფლმხედველობა მთელი შუა საუკუნეების ყველა ქვეყნის (ქრისტიანული) კულტურაში გამოვლინდა. პარალელთაგან პირველ რიგში უნდა მოვიხილოთ შოთა რუსთაველის პოემის პროლოგის პირველი და მეორე სტროფები, რომლებშიც გამოთქმულია სამყაროს შექმნის შესახებ კრეაციონისტული თვალსაზრისი.

თამარის იამბიკოს პირველი სტროფისა და ვეფხისტყაოსნის პირველი-მეორე სტროფების მიხედვით, სამყარო შექმნა ღმერთმა სულიწმიდის მეშვეობით, ძე ღმერთის მონაწილეობით, მანვე განწინა ადამიანებს მიწა საცხოვრებლად, ადამიანიც შექმნა თავისი სახისა და ხატისებრ. რა თქმა უნდა, იველისხმება პირველქმნილი ადამიანი - ზეციური, ცოდადაუცემელი ადამი. მეორე სტროფში რუსთაველი ახსენებს ყოველი არსის პირველ მაგალითთა შექმნას და ღმერთს - ერთს, ერთარსებას, სამებას (რომელმან, ძალითა მით ძლიერითა, სულითა ზეცით მონაბერითა, ერთი ღმერთი, ყოველი ტანის სახის შემოქმედი) ევედრება, შესთხოვს სატანის დათრგუნვის ძალის მომადლებას, ცოდავთა შემსუბუქებას. თამარის იამბიკოში მეორე სტროფი სწორედ სატანისაგან (დრეკუ) თავის დახსნის, ქრისტეს ვნების მოტრევის ასახავს.

„ცასა ცათასას“ მეორე სტროფში ძველი აღთქმისეული უმნიშვნელოვანესი ეპიზოდი - ადამის ცოდვით დაცემა მინიშნებული - „როს დრეკუ მიდრეა“, და მის საპირისპიროდ უცოდველი ქრისტეს ვნება ასახული - „უენებელმან ვნებისადმი ივნო და ვნებუ პირველი უენებელ ყო“.

იამბიკოს პირველი სტროფი ბიბლიურ კონსმოგონიას ასახავს, მეორე ბიბლიურ-ევაგელურ შინაარსს სიმბოლოებით ვაღმოსცემს, ხოლო მომდევნო სამი სტროფი ძირითადად ისტორიული მნიშვნელობის ინფორმაციებითა დატვირთული. თუკა შესაძებ სტროფის პირველი ორი ტაეპი კვლავ ბიბლიურ-ევაგელურ სიმბოლოებზეა დამყარებული. ამიტომ ეს სტროფი ბიბლიურ-ევაგელურიცაა და ისტორიული ხასიათისაც. მასში ბიბლიური დავით წინასწარმეტყველის ეპიზოდთან ერთად, რომელსაც ღვთისმშობლისა და ძე ღვთისას სიმბოლოები უკავშირდებიან, წარმოჩენილია თამარის, საზოგადოდ ქართველ ბაგრატიონთა ბიბლიური ჩამომავლობა, ხოლო მეოთხე სტროფში დავით სოსლანის ეფერემიანობაა ასახული:

„შენგან, ქალწულო, რომელსა შენთვის დავით
როკვიდა ძისა ღმრთისა ძედ შენდა ყოფად,
მე, თამარ, მიწაჲ შენი და მიერივერ,
ცხებულებასა ღირს მყავ და თუსობასა.
ელემს, ღადირთად, სამხრით და ჩრდილოეთით...“

ტაეპს - „მე, თამარ, მიწაჲ შენი და მიერივერ“ - განსაკუთრებული ღირებულება აქვს ლიტერატურულ-ისტორიული თვალსაზრისით. თამარი პირველ პირში ლაპარაკობს და მიმართავს ღვთისმშობელს, რომ მისი თვისობის და მეფური ცხებულების ღირსი ვახადოს. მომდევნო სტროფებშიც ავტორი პირველ პირში მოუთხრობს მკითხველს უცხოტომელთა და ცრუსჯულის მიმდევართა დამარცხებას. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს თამარის ავტორობას.

მეოთხე სტროფის შინაარსი უშუალოდ ვადაჯავშნულია შესამესთან, ამიტომ მოვიტან მას:

„შუამვლობელი, იავარს შენდა ვმრთუმელობ,
ხალითას ღროშა თანავე მანიაცსა
შეგრთე, ცრუ-სჯულთა მოძიურისა ღაზოდ მძღუანი,
ვინ დავით, ძეებრ ეფერემის მოისარმან,
მოირთხნა, მოსრნა სულტნითა ათაბაე“.

კ. კეკელიძემ „ისტორიანი და ზმანი შარავანდელთანის“ რუსულად თარგმნისას ტაეპს „ცხებულობასა ღირს-მყავ და თუსობასა“ შენიშვნა გაუკეთა, რომ ბიბლიის მიხედვით, ღვთისმშობელი ებრაელთა მეფისა და წინასწარმეტყველის დავითის ჩამომავალია, ასევე ქართველ ბაგრატიონთა დინასტია, მათ შორის, რასავერიგელია, მეფე თამარი, ამავე დავითის ჩამომავალია [7,213]. მომდევნო სტროფთან

დაეფიორებოთ, სადაც დავოთ სოსლანი ეფერეპიანად არის მიჩნეული, ვანმარტა, რომ აქ შედეველობაშია მისაღები ის ვარეპობა, რომ ოსეთის ბაგრატიონები ითვლებოდნენ ბიბლიური ეფერემის ჩამომავლებად [7,199; 5,312-318]. „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი“ დავოთ სოსლანს „დავითიანების“ სახელითაც იხსენიებს. დავითი იაკობის უფროსი ძის - იუდას ჩამომავალია, ეფერეპი - იაკობის უმცროსი ძის, ეგვიპტეში გაყიდული ოსების ჩამომავალი (შეს. 48,5; 49,8). ამ აზრს გამოხატავს ამავე ეპოქეში შექმნილი სახოტბო თხზულება „თამარიანი“, საიდანაც პარალელებია მოტანილი კ. კეკელიძის მითითებულ შრომაში და რ. სირაძის თამარის იამბიკოსადმი მიძღვნილ წერილში.

თამარის იამბიკო ეფერემიანობის ნიშნად მიიჩნევეს ოში გამოჩენილ სიმამაცეს, გვირობას, ვაჟკაცობას, რასაც ბიბლიური მონაცემები უღვეს საფუძვლად. „დავითიანი“ თამარი აქებს „ეფერეპიან“ დავითს და ავედრებს ღვთისმშობელს.

კ. კეკელიძემ დეტალურად ვანიხილა და ახსნა ქართველი და ოსეთის ბაგრატიონების ურთიერთმიმართებანი ბიბლიურ მონაცემთა საფუძველზე. მისი თვალსაზრისით, იაკობის ძე „იუდა, მისვან წარმოშობილი დავით წინასწარმეტყველის სახით, საქართველოში დაუსახავთ ქართველ ბაგრატიონთა წინაპრად, ხოლო მისი ძმისშვილი ეფერეპი - ოსთა ბაგრატიონებისა. კონკრეტულად, მომენტის მოთხოვნილებით, იუდა იყო ვანსახიერება ბაგრატ მეოთხისა, ხოლო მისი ძმისწული ეფერეპი, - რომელიც მტრობდა და „ემურვოდა“ მის შთამომავლობას - ბაგრატის ძმისწულის, ოსთა პირველი ბაგრატიონის (დიმიტრის ძის) დავითისა, რომლის შთამომავლობა მტრობდა და „ემურვოდა“ ბაგრატის შთამომავლობას. არ შეიძლება ვეკლევარს თვალში არ ეცეს ის ზუსტი ანალოგია, რომელიც ასე მოხერხებულადაა გამოძებნილი ბიბლიაში ბაგრატ მეოთხისა და მისი ძმისშვილის, ოსთა ბაგრატიონების, დინასტიათა ურთიერთობისა“ [5,316].

უთუოდ დანისძის კითხვა, რატომ და ვისთვის იყო საჭირო წოდების, ტიტულის „ეფერეპიანობის“ შემოღება ქართულ ისტორიოგრაფიაში? კ. კეკელიძე არ გამოიციხავს იმ ვარეპობას, რომ ამით უნდოდათ დავით სოსლანის გვირობის, ვაჟკაცობის, მამაკაცობის წარმოჩენა, ვითარცა თამარის ღირსეული მყოლისა. მავრამ სავსებით სამართლიანად უმათერეს მიზნებად ის მიანია, რომ ამით „დავითიანი“ ბაგრატიონთა უპირატესობა იყო ხაზგასმული „ეფერეპიანი“ ბაგრატიონებთან შედარებით. ამას მხარს უჭერს ბიბლიური მონაცემებიც.

კ. კეკელიძის დასკვნით, დავითის „ეფერეპიანობას“ ორგვარი მნიშვნელობა ჰქონდა: 1. როცა დავით სოსლანს „ეფერეპიანი“ უწოდებდნენ, ერთი მხრივ, აღნიშნავდნენ მის მებრძოლ ბუნებასა და სიმამაცეს, რაც ბიბლიურ ეფერემს - მის წინაპრად მიჩნეულ პირს, ახასიათებდა; 2. მეორე მხრივ, აღნიშნავდნენ და არავის ავიწყებდნენ იმ ვარეპობას, რომ დავითს ლეგეტიმური გზით არ რგებია საქართველოს მეფის პატივი, არამედ ვითარცა თამარის მყოლეს. ლეგეტიმურად იგი ამას ვერც მიაღწევდა, რადგან იგი მამით „ეფერეპიანი“ იყო.

ის, რაც „ისტორიანსა და აზმანში“ აირეკლა პოლიტიკური აზროვნებისა და იდეოლოგიური მიმართულების გამოსახატავად „დავითიან-ეფერეპიანის“ სახით, ასახულია თამარის იამბიკოში და აღიარებულია თვით მეფის მიერ, რომ დავით სოსლანი ღირსეული მყომარი, უებრო რაინდია, რომელმაც დაამრცხა სულთანი და ათაბაგი. სამართლიანობა მოითხოვეს იმის აღნიშვნას, რომ თამარის იამბიკოში აქცენტრებულია დავით სოსლანის გვირობა და ვაჟკაცობა და არა მისი მეფობა, ანუ მეფის მყოლლის პატივისათვის ვანსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება.

თამარ მეფე, თავისი სულიერი და ხორციელი წინაპრების დავით წინასწარმეტყველისა და დავით აღმაშენებლის მსგავსად, აგრეთვე ჰიმნოგრაფიული თხზულებების ავტორთა მსგავსად, საოცარი

თავმდებლობითა და ღირსებით მიმართავს ღვთისმშობელს სამადლობელი სიტყვით, რომელშიც ქრისტიანული მწერლობისათვის დამახასიათებელი მოტივები გამოიხატევიან: „მე, თამარ, მიწა შენი და მიერივე“. აღმანიანს ამქვეყნიური ცხოვრების წარმატებაზე მინიშნებით იგი უთუოდ მოგვაგონებს დავით აღმაშენებლის მრავალმხრივ საფურადღებო ეპიტაფიას. თამარი ღვთისმშობელს მადლიერებით ევერძება, რომ იგი ღირსი ვახდლოს მისი ნათესაობისა („მიერივე“, „თუხობისა“). იგი, შუამფლობელი ყველა მხარისა, ხალიფას „ნატყვენავ“ დროშას მიაართმევს, უძღვინს ხახულის ღვთისმშობლის ხატს თავისი ღიღი წინაპრის - დავით აღმაშენებლის მსგავსად, რომელმაც ცრუ სჯულის მოძღვრების მიმდევრებზე გამარჯვების ნიშნად მოაწვევებელი ძვირფასი მანიაკი მიაართვა ღიღგორის ომში გამარჯვებისთანავე ხატს. ეს სტროფები ისტორიული ღირებულების მქონე ფაქტებს ასახვენ.

მესამე-მეოთხე სტროფებიდან ჩანს, რომ თამარ მეფე არის შუამფლობელი „ედემს, ღადირთად, საშხით და ჩრდილოეთით“. იამბიკოში ნათქვამია, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის შუაშა მოქცეული ქვეყანა, რომლის მეფეა თამარი, ხოლო ედემის, ღადირის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის სხენებას სიმბოლურ-ალეგორიული დატვირთვა ექისრება. თამარის ძალა, როგორც ღვთისმშობლისაგან ცხებული და თვისი მეფისა, ყველა კუთხეს უნდა გადასწვდეს. იამბიკოში ნახსენებ ღადირს დეკანოზიური აქვს დასავლეთის აღმნიშვნელი ფუნქცია. „ედემი“ წარმოდგენილია როგორც მსოფლიოს აღმოსავლეთ მიჯნაზე მდებარე, ხოლო „ღადირნი“, ანუ პერაკლეს ბჭეები, - მსოფლიოს უკიდურეს დასავლეთ მიჯნაზე. ღადირში დასავლეთის მოაზრება იმას ადასტურებს, რომ იგი ჩრდილოეთის მსგავსად, მზეს, ე. ი. ღმერთს მოკლებულია, რამდენადაც მზე არის ღვთის სახელი: „მზე სიპართლისა“, „ნათელი მიუჩრდილებელი“, „ნათელი დაუღამებელი“, „განქარებულ მოვალს მზე“. დასავლეთი, ჩრდილოეთისაგან განსხვავებით, ის მხარეა, საითუნაც მიისწრაფვის მზის ნათელი. მამასადამე, „ღადირი“ დასავლეთის სიმბოლური სახელია და ამგვარი ხსენება იამბიკოში თამარის ეპოქაში გამოხატული რენესანსული იდეალების გამოხატულებადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

ჩრდილოეთიც უმზეო მხარეა, ზნელის მომცველი, ღვთაებრივ ნათელს მოკლებული. ბიბლიურ მონაცემთა მიხედვით, იგი შეიძლება მოაზრებულ იქნეს იმ მხარედ, საიდანაც ღვთის რჩეულ ერს დღი უბედურება, ღვთის რისხვა შეიძლება დაატყდეს თავს. ჩრდილოეთის მხატვრული ფუნქცია სამხრეთთან დაპირისპირებისას იკვეთება. სამხრეთი, რომლის სინონიმად სავალობლებში ხშირია „თემანის“ გამოყენება, ბიბლიურ ტექსტებსა და წმიდა მამათა თხზულებებში კი ზოგჯერ „ბლუარიც“ გვხვდება, მზის საუფლოა, ხოლო, როგორც ზემოთ აღინიშნა, მზე ქრისტეს მეტაფორული სახელია. სამხრეთი, აღმოსავლეთის მსგავსად, არის ღვთაებრივი სიკეთისა და მადლის მხარე. თამარის იამბიკოში გეოგრაფიულ მხარეთა ხსენება და ამ მხარეთა შუაგულის მფლობელობა შემთხვევითი ფაქტი არ არის, იგი იდეოლოგიური ფუნქციის მატარებელია, რადგან იგი სავალობელს, ისევე როგორც ისტორიულ თხზულებას, „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი“, რომელშიც ჩართულია თამარის იამბიკო, მსგავლავს სამეფო-დინასტიური იდეოლოგიითა და მესიანისტური იდეით.

თამარის სავალობელში ორი სივრცე, ორი სამყაროა ასახული: ერთია საქრისტიანო, რომელმაც გამარჯვება მოიპოვა მეორეზე - სამუსლიმანოზე.

იამბიკოს მეხუთე სტროფაში საუბარია თამარის მიერ წარგზავნილი ქართველთა მხედრობის, ღვთისმშობლის მშოსავი ქართული ლაშქრის მიერ ირანში ხალიფას საათა, აგარის ნათესავთა დამარცხების, მოწყვლის, მოწყველის შესახებ, ხოლო იქედან წამოღებული ნაღაფარიდან, ძვირფასეულობიდან ამ ერთს - იეკოსხმება ხალიფას დროშა, ღვთისმშობლის ხატს შესწირავს. ბოლო ტაქაში იგი ღმერთს ევერძება, რომ იყოს ძის მსგავსად მისი მეოხი, შემწე.

ამრიგად, საგლობელი დაიწყო ღმერთის ხსენებით, მის მიერ „აროდეს ქმნადის“ სრულყოფით და დამთავრდა ღმერთისადმი ვედრებით. კომპოზიციურად იგი საკმაოდ რთული ნაწარმოებია. სირთულეს მისი თემატური მრავალფეროვნება განსაზღვრავს. საგლობელი კომპოზიციურად რამდენიმე კომპონენტისაგან შედგება და საფეხურებრივად ვითარდება, რომლის თითოეული ნაწილი ერთმანეთთან ორგანულ კავშირშია. ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, მთელი იამბიკო ერთი და იმავე თემის - მადლისა და ვედრების - მოდიფიკაციაა, ოღონდ ყოველ სტროფში პარალელური სახეების გამოყენებითაა ყოველი თემა წამოწეული ან მინიშნებული. სულიერი ინიციაციის გზაზე მდგარი პოეტი-პიზნოგრაფის გზამკვლევი მთელი საგალობლის მანძილზე ღვთისმშობელია.

თამარის მეორე იამბიკო „ქალწულებრივთა სისხლთა“ რამდენიმე გვიანდელი ხელნაწერთაა ცნობილი. მის ტექსტად ბოლო ხანებამდე ვარაუდობდნენ ხახულის ღვთისმშობლის ხატის ტრიპტიქზე წარწერილ იამბიკოს. რ. ყენამ საბოლოოდ გაარკვია, რომ ხატზე სულ სხვა შინაარსის იამბიკოა წარწერილი და არა ის, რომელსაც ხელნაწერთა უმრავლესობა თამარს მიაკუთვნებს, ხოლო სამი შოთა რუსთაველს მიიჩნევს ავტორად.

იამბიკო შეიღტაეიანი ერთი სტროფია და კლასიკური იამბიკოს სტილითაა შესრულებული. მასში ასახულია ქალწული ღვთისმშობლისაგან, ღვთის ნებით („ხენაჟსა განგებისად“) საიდუმლო შეზავებით (თბეს პარდაპირი მნიშვნელობა არის საფეხარი, ცომი) კაცობრიობისათვის სიცოცხლის მიმნიჭებლად ძე ღვთისას ღვთისმშობლის ძედ (ხორციელად) შობა. იამბიკო სიმბოლური ხასიათისაა. როგორც ქალწული ღვთისმშობლისაგან იესო ქრისტეს შობა წმიდად განხორციელდა, ასევე თამარი, დავით წინასწარმეტყველის ტომისაგან წარმოშობილი, ღვთის განგებით არის გამოიწეული. ღვთისმშობელი და იესო ქრისტე თამარისა და მისი ძის ბირველსახეებად არიან წარმოდგენილი იამბიკოში.

იამბიკოში ნახსენები „თბედ საიდუმლოდ“ ადამიანის სულიერი განახლების მიმანიშნებელია, რაც მოხდა ღვთის განგებით. იგი მიუთითებს აგრეთვე იმ საიდუმლო შეზავებასაც, რაც ქალწული ღვთისმშობელით ღვთის ძის განკაცებით განხორციელდა.

იამბიკო „ქალწულებრივთა“ თეოლოგიურ-ფილოსოფიური ხასიათისაა, აგრეთვე, მასში ისტორიული ღირებულების მქონე იდეოლოგიური ფაქტი - სამეფო-დინასტიური იდეოლოგია და მესიანისტური იდეაცაა გამოხატული. იგი საინტერესოა მხატვრული თვალსაზრისითაც, რადგან მისი პოეტიკური ანალიზი კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს, რომ მისი ავტორი სწორედ თამარ მეფეა. „ცასა ცათასას“ ავტორი.

თამარის ორივე იამბიკოში თხრობა პირველი პირით ვაღმოიკვება, რასაც, უთუოდ, უნდა მივანიჭოთ განსაკუთრებული მნიშვნელობა როგორც ისტორიულ-ფილოსოფიური თვალსაზრისით - იგი ავტორობის პრობლემის გადაწყვეტაში გვეხმარება, ისე მხატვრული მეტყველების თვალსაზრისით, ვინაიდან პირველ პირში აშბის ვაღმოიკვება საგალობლის შეკაცრად ფორმირებულ სახეობას - იამბიკოს ლირიზმით ავსებს და ამკობს. ავტორი, ღმრთივანბრძნობილი მეფე თამარი წარმოიხდებდა თავისი მდიდარი სულიერი სამყაროთი, ფაქიზი ბუნებით, ნაზი და ნატყფი გრძნობებით. იამბიკოების ავტორი ერთდროულად არის, ერთი მხრივ, სწორიუბოვარი, ძლიერი და მებრძოლი მეფე, რომელსაც მუდამ თან სდევს თავისი ბიბლიური ჩამომავლობის იდეებულების შეგრძნება, და მეორე მხრივ, იგი არის ქვეყნისა და საყოთარ პიროვნულ სულიერ მომავალზე ორიენტირებული მორწმუნე, იგი არის მზრუნველი დედა, რომელიც ქალწულ ღვთისმშობელს, დედათა შორის ქალწულს და ქალწულთა შორის დედას, ავედრებს თავის მეგვიდრეს და საყოთარ თავს, რათა დაიფაროს და დაიცვას ისინი. ორივე შემთხვევა თამარ მეფეს წარმოსახავს იმეგარ პიროვნებად, რომელიც თავისი ქვეყნის ინტერესებით ცოცხლობს და სუნთქავს,

რომლისთვისაც უპირველესი საზრუნავი არის მამული, ენა, სარწმუნოება. სწორედ მათ დასაცავად სჭირდება მას ღმერთის შეწევნა და ღვთისმშობლის მეოხება.

ამრიგად, თამარ მეფე არის ავტორი ორი იამბიკოსი „ცასა ცათასა“ და „ქალწულებრივთა“, რომლებიც გამოხატავს ეპოქის სოციალურებებს, იდეოლოგიას. თამარის საგალობლები ეროვნული ცნობიერების განვითარების უმაღლეს საფეხურზე დგას. ამდენად, თამარ მეფე თავისი ღირსეული წინაპრების ტრადიციების გამგრძელებელი ჩანს სამწერლო მოღვაწეობაშიც. მისი იამბიკოები მაღალი მხატვრული ღირსების მქონე თხზულებებია, რომლებიც ჰიმნოგრაფიულ ტრადიციებზე დაფუძნებული და რომლებშიც ქრისტიანული ღვთისმეტყველების ძირითადი პრობლემები აისახა.

* * *

ჰიმნოგრაფიის ისტორიაში მხოლოდ ორიოდ შემთხვევაა, როდესაც საგალობლების ავტორად ქალი გვევლინება. IX საუკუნეში ცნობილი იყო ბიზანტიელი ჰიმნოგრაფი კასია, ხოლო საქართველოში XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე საგალობლებს წერს თამარ მეფე. XVIII საუკუნის I ნახევრის მოღვაწე მარიამ-მკერდინა ბაგრატიონი, ნაზარალობანად წოდებული ერეკლე პირველის ასული, სამწიგნობრო საქმიანობას ეწევა და, ამავე დროს, წერს ორიგინალურ თხზულებებს. მას მონაწილეობა მიუღია ისტორიული და საეკლესიო დოკუმენტების შედგენაში, რომელთა მხატვრული დონე ნათლად მიუთითებს მარიამ-მკერდინას ლიტერატურულ გემოვნებასა და დახვეწილ სტილზე. მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა დავით გარეჯის ლიტერატურულ-საღვთისმეტყველო სკოლას უკავშირდება. მას შეუდგენია კანონიკური ხასიათის კრებული, რომელშიც, ძირითადად, დოგმატიკური ხასიათის თხზულებებია თავმოყრილი.

მარიამ-მკერდინას ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ცნობილია იოსებ ალავერდელისადმი მიძღვნილი ორი ჰიმნოგრაფიული კანონი, იოსებ ალავერდელისავე სვინაქსარული ცხოვრება და ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი საგალობელი. იოსებ ალავერდელის პიროვნების შესახებ ასურულ მამათა „ცხოვრებაში“ მწირო ცნობების არსებობის გამო მარიამ-მკერდინა შეზღუდული იყო და მის ნაწარმოებებში ისტორიული ფაქტები არც არის ასახული. ამას არც ჰიმნოგრაფიული ენის სპეციფიკა მოითხოვდა. იგი ძირითადად საღვთისმეტყველო სახისმეტყველებით ტვირთავს თავის თხზულებებს და ჰიმნოგრაფიულ ტრადიციებს აგრძელებს. მისი საგალობლების წარმმართველი საღვთისმეტყველო პრობლემატიკა და პატრიოტიზმია. ეს უკანასკნელი დამახასიათებელია XII-XIII სს. და XVII-XVIII სს. ქართული ჰიმნოგრაფიისათვის.

მარიამ-მკერდინა წარმოაჩენს იოსებ ალავერდელის საქმიანობას, რაც ორი მიმართულებით გამოვლინდა: 1. აღმშენებლობითი და 2. განმანათლებლური. ავტორის სიტყვით, იოსები მანათობელ კულატრად მოეგონა ქვეყანას და გააგრძელა წმინდა ნინოს განმანათლებლური საქმიანობა. იგი იოსების სახეს ღიღების შარავანდლით მოსავეს. კ. კეკელიძე მაღალ შეფასებას აძლევს მარიამ-მკერდინას ჰიმნოგრაფიულ მოღვაწეობას: მას „ემარჯვება მოხდენილი უბითეტი, შედარებანი, მეტაფორანი და პარალელიზმები“ (6,249). ასევე, მ. ჭავთარიამ, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო მკერდინას ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობის შესწავლას, და ე. გაბიასვილმა, რომელმაც მკერდინას სვინაქსარული ცხოვრება გამოიკვლია, მას მაღალი შეფასებები მისცეს (11,202-242; 13,403-406). მკერდინას ერთ-ერთი საგალობელი ავროსტიქულია. „მკერდინა, შემსხმელი შენი, შემწყალებ, წმიდაო“. როგორც მ. ჭავთარიამ შენიშნა, საგალობელსა და სვინაქსარულ ცხოვრებას შორის შეინიშნება სიახლოვე (11,221). ცალკე უნდა აღინიშნოს მკერდინას „ღვთისმშობლის შესხმა“, რომელიც მის მიერ გადაწერილი საბას ლექსიკონის შემკველ ხელნაწერს ერთვის. იგი ავროსტიქულია და ღვთისმშობლის ქებას მოიცავს.

მარია-მაკრინამ თავისი ჰიზნოგრაფიული და ჰავიოგრაფიული ნაწარმოებებით ქართული ლიტერატურის ისტორიაში ღირსეული ადგილი დაიკვიდრა.

* * *

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ ქართულ ჰიზნოგრაფიაში ბეგრატიონთა მიერ შეტანილი წვლილის წარმოჩენას. ვფიქრობთ, ბასილი ბეგრატიის ქემ, დავით აღმაშენებელმა, დემეტრე მეფემ, თამარ მეფემ, მარია-მაკრინამ ღრმა კვალი დააჰნიეს არა მხოლოდ ჰიზნოგრაფიას, არამედ, ზოგადად, ქართულ ლიტერატურას, მათ ღრმა და ინტელექტუალური მწერლის უკვდავი სახელი დაიკვიდრეს.

დამოწმებული ლიტერატურა

1. რ. ბარამიძე. დავით აღმაშენებელი, „გალობანი სინანულიანი“. იხ.: კრებ. „ლექსი, მხოლოდ ერთი ლექსი“. თბ., 1995.
2. ა. ვაწერელია. სეპტრა და საფლაფი, „ჯვარი ვაზისა“, 1989, №1.
3. ლ. გრიგოლაშვილი. ქართული ჰიზნოგრაფიის ისტორიიდან (დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულიანი“), საკანდიდატო დის., თბ., 1972.
4. კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960.
5. კ. კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1956.
6. კ. კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბ., 1957.
7. კ. კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, XII, თბ., 1974.
8. ე. მეტრეველი. ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, თბ., 1996.
9. რ. სირაძე. ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, I, თბ., 1992.
10. ნ. სულავა. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიზნოგრაფია, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1997.
11. მ. ქავთარია. ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან, თბ., 1977.
12. ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959.
13. ძველი ქართული ავიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ენრიკო გაბიძაშვილმა, თბ., 1968.

THE BAGRATIONIS' HYMNAL HERITAGE

Nestan Sulava

Many representatives of the Bagrationi family contributed much to the history of Georgian literature but in the present study we shall analyze only the hymnography.

According to all available data, the first writer by the name of Bagrationi was Basili Mtatsmindeli, the son of Bagrat, a monk of the Georgian monastery on Athos, in the first part of the 11th century. He enriched Georgian literature by his hymns and the "Life" of Eqthvime of Athos. He was the first who realized the role and importance of Eqthvime of Athos. His works are indicative of his erudition and gift of eloquence to glorify the object of hymns by biblical images.

The hymn by David the Builder is one of the most outstanding literary monuments in the history of Georgian literature. By the depth of its meaning, skilful composition and impressive images it reflects many aspects of aesthetic and religious outlook of the Middle Ages. Its ethical principles are based on the idea of penance. The individual passions and feeling of repentance expressed in the hymn are of universal nature and are evidences of the high personal dignity of the author. David the Builder argues how man should come to term with a world, what he should do and what he should not do.

Our Savior and Our Lady determine the quest of self-illumination and the idea of repentance of the hymn.

The iambi by Queen Tamar and King Demetre have called for a separate research. There can be no doubt that each of the hymns was created in a purely classical iambic form (i.e. 5 lined stanza, each line containing 12 syllables). King Demetre's poetry was written in classical iambi striking for not merely their symbols and imagery but poetics, for that matter. Two iambi dedicated to the Virgin - "You are the Vineyard" and "Mother of God and Totally Chaste" are rhymed - the tradition originating from a iambus to the Virgin by Queen Borena. Among the iambi dedicated to Shio Mgvimeli - one entitled "Hanging in Heaven By a Thread" is particularly expressive owing to a balance of literary traditions and a specific world outlook of the folklore. The iambus is exemplary within a so-called enigmatic poetry. An enigmatic poetic method is the means by which the truth may be made accessible. It was theoretically worked out and generalized in as early as Aristotle's "Poetics" and "Rhetorics". It is curious enough, however, that each enigmatic writing used to be assessed as a deviation from the truth revealed by unusual, ingenious, mysterious images, both cognitive and didactic, since the animal characters were made to display a human life. As the theologians and hymnographers put it, it was "a contemplation in a mirror" - a symbol of perception.

The foregoing iambus by King Demetre relies upon an antithesis with a miraculous imagination being its centerpiece. The miraculous events of a fairy tale embrace various tropic forms as prompted by the medieval aesthetic guidelines.

Each hymn has two aspects, a more actual one with its aesthetic value and the other, a much more significant side thereof, its mystical content. Such are both iambi of Queen Tamar, the monarch endowed with the divine

wisdom.

The first stanza of “the Heaven of Heavens” depicts a Biblical cosmogony and has much in common with the hymnographic writings of the previous period, such as those by Ioane Mtbevari, Michael Modrekili, Ioane Minchkhi, etc. and, of course, with the first two stanzas of the prologue to “The Knight in the Panther’s Skin”. The second stanza of the iambus conveys a Biblical Evangelic content by means of symbols, while the next three stanzas contain some historic information. Similarly to “the Histories and Panegyrics to the Lord’s Anointed”, it reflects some political and ideological views upon Queen Tamar’s descent from the Biblical King David and David Soslan’s (her husband) descent from the Biblical Ephraim. The hymn begins with a mention of God and “his perfection of an immortal creation” and ends with an entreaty to God and the Virgin. Its structure is complex enough as called for by a variety of its themes. The composition evolves in stages closely linked with one another. Two emotions – gratitude and an entreaty are pivotal to it. Gratitude for the victory in Shamkori battle and an entreaty of a spiritual salvation. The atmosphere of the hymn is elevated from the very beginning created by theological thoughts and literary accessories. Throughout the hymn the Virgin is the guide of the hymnographer on the way to a spiritual initiation.

The Messianic idea displayed, inter alia, by an artistic interpretation of the geographic areas and a mention thereof is in no way accidental, but a functional one.

In the first part of the 18th century Mariam (Macrina) Bagrationi, daughter of King Irakli I, was engaged in the literary activity; she is the author of several hymns and the life of St. Joseph of Alaverdy; characterized not only as a spiritual person but an active enlightener and builder as well.

Basili of Athos, David the Builder, King Demetre, Queen Tamar and Mariam (Macrina) devote the present article to the different aspects of the works.